

ქვევის კულტურის შეფასების რუბრიკა

2016-2017 სასწ. წელი

| აქტივობები, რომელშიც ფასდება მოსწავლე | სუსტი (ვერ გაართვა თავი) | საშუალო | კარგი |
|---|---|---|--|
| საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართულობა, მოსმენის კულტურა, ქვევის ნორმების დაცვა | პასიურია, არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში; არ უსმენს მოსაუბრეს; არ იცავს ქვევის ნორმებს. | გაკვეთილის პროცესში ჩართულია ნაწილობრივ, უჭირს ყურადღების კონცენტრირება, იშვიათად უსმენს მოსაუბრეს; ვერ იცავს ეთიკურ ნორმებს. | გაკვეთილის პროცესში აქტიურად არის ჩართული, უსმენს მოსაუბრეს, ამჟღავნებს ინტერესს საგაკვეთილო პროცესისადმი; იცავს ეთიკურ ნორმებს. |
| ინფორმაციის ანალიზის უნარი | ვერ აჯამებს მოსმენის ინფორმაციას. | ნაწილობრივ ახერხებს შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია. | კარგად ახერხებს მიღებული ინფორმაციის შეჯამებას. |
| ჯგუფში მუშაობა, თანამშრომლობა, მიმართვის ფორმები. | ჯგუფში მუშაობისას პასიურია, ვერ თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან. ვერ ითვალისწინებს საკუთარი ქვევის შედეგებს. | ჯგუფის მუშაობაში ზოგჯერ შეაქვს წვლილი, გამოხატავს ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობის ინტერესს. ცდილობს მოახდინოს საკუთარი ქვევის ანალიზი. | ჯგუფის მუშაობაში შეაქვს წვლილი, თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა ჯგუფური საუშაოს მიმართ. შეუძლია გაითვალისწინოს საკუთარი ქვევის შედეგი. |
| როლურ თამაშებში და სიტუაციურ ამოცანებში მონაწილეობა | პასიურია, არ ამჟღავნებს როლურ თამაშებსა და სიტუაციური ამოცანების განხილვაში მონაწილეობის სურვილს. | ცდილობს მიიღოს მონაწილეობა როლურ თამაშებში და სიტუაციური ამოცანების განხილვაში, თუმცა უჭირს საკუთარი აზრის დაფიქსირება და არგუმენტირება. | აქტიურად არის ჩართული როლურ თამაშებში და სიტუაციური ამოცანების განხილვის პროცესში; აქვს უნარი სათანადო დონეზე განასახიეროს მიკუთვნებული როლი და გამოამჟღავნოს შემოქმედებითი უნარი. |
| სოციალურ გარემოში ადაპტაცია | არ შეუძლია საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სწორად გაანალიზება. ვერ ითვალისწინებს კლასში არსებულ ღირებულებებსა და ინტერესებს. | ვერ ახერხებს სრულყოფილად საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების გააზრებას. თუმცა ცდილობს გაითვალისწინოს კლასში არსებული ღირებულებები და ინტერესები. | აქვს სწორი თვითშეფასება, შესწევს უნარი სიტუაციურად გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები. ითვალისწინებს კლასში არსებულ ღირებულებებსა და ინტერესებს. |